




ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 42

2018 წლის 1 მაისი

ხაშური




ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 11 ნოემბრის №56 დადგენილებაში „ხაშურის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზებო აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის (ადმინისტრაციული დაპირება), ნასყიდობის ხელშეკრულებისა და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 11 ნოემბრის №56 დადგენილებაში „ხაშურის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზებო აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის (ადმინისტრაციული დაპირება), ნასყიდობის ხელშეკრულებისა და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ“ ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge) 16/11/2015; 010250050.35.143.016365) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დანართი №4 ჩამოყალიბდეს ახალი დანართი №4-ის სახით (თან ერთად);

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე



მიხეილ ჯანაშვილი



ხაშურის მუნიციპალიტეტი

საკუთრების  
დამადასტურებელი მოწმობა

ედლევა \_\_\_\_\_  
(მესაკუთრე და მისი მისამართი)

\_\_\_\_\_ მასზე, რომ მას საკუთრებაში გადაეცა \_\_\_\_\_

\_\_\_\_\_ (ქონების დასახელება და მისამართი)

\_\_\_\_\_ (ქონების რაოდენობრივი მაჩვენებელი; წილის ოდენობა; უძრავი ქონების ფართობი)

\_\_\_\_\_ (საიდენტიფიკაციო მონაცემები: საკადასტრო/საიდენტიფიკაციო კოდი; სარეგისტრაციო ნომერი)

საფუძველი: \_\_\_\_\_

\_\_\_\_\_ (ოქმის და ხელშეკრულების ნომერი)

ოქმის და ხელშეკრულების შედგენის თარიღი \_\_\_\_\_ მოწმობა შედგენილია 3

ეკზემპლარად, ორი ეკზემპლარი გადაეცემა მესაკუთრეს, მესამე ინახება მოწმობის გამცემ ორგანოში.

გაცემულია 20 \_\_\_\_ წლის, \_\_\_\_

\_\_\_\_\_ ხაშურის მუნიციპალიტეტის

მერი \_\_\_\_\_

\_\_\_\_\_ (სახელი, გვარი)

\_\_\_\_\_ (ხელმოწერა)

ბ.ა.